ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: კახი ნოზაძე, შ.პ.ს. „მუხამბაზი“ (557100070)

საფუძველი: 19.07.2013წ. №12/13200185-16

მისამართი: სექტორი დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა, შ.პ.ს. „ოკრიბა“-ს ავტოფარეხების მიმდებარედ

საკ.კოდი: №01.13.02.008.111

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 23.01.2013წ. №514910 (AR185201)

ფუნქციური დანიშნულება: რესტორანი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (28.07.13) დადგინდა:

„ა-ზ“ ფასადზე: „1^{1}-1^{11}“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულზე გაზრდილია კარის სიმაღლე დაახლოებით 0.30მ-ით და შეცვლილია ნახატი. ამავე კარიდან მარცხნივ დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი 2.50მ სიმაღლის და მასზე მოწყობილია კონდენციონერი. ამავე მონაკვეთში გაზრდილია შენობის სიმაღლე დაახლოებით 0.60მ-ით. „გ-გ“ ღერძიდან მარცხნივ ფანჯრების თავზე რიგელი ნაცვლად აგურისა მოპირკეთებულია ნათალი ბუნებრივი ქვით. „ა-ზ“ მონაკვეთში შემცირებულია საყვავილის სიმაღლე, ხოლო „გ-გ“ ღერძიდან მარცხნივ დამატებით მოწყობილია კაპიტალური საყვავილეები. ამავე ღერძიდან მარცხნივ „+5.00“ ნიშნულზე გაზრდილია ხის დეტალების სიმაღლე და მასზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო აბრა. „გ-ე“ მონაკვეთში გაზრდილია კედლის სიმაღლე დაახლოებით 0.40მ-ით. „დ-ე“ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი, ხოლო მის თავზე ხის დეკორატიული დეტალების ზევით დამატებით მოწყობილია მინის საჩრდილობელი. ამავე მონაკვეთში სახურავი ნაცვლად ბრტყელისა მოწყობილია ქანობიანი. კედლის მოპირკეთება არ ემთხვევა საპროექტოს. სახურავზე შეცვლილია საკვამურის ფორმა და გაბარიტები, მასზე მოწყობილია სატელიტური ანტენები, ხოლო „გ-დ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი ტექნიკური ლიფტის უჯრედი.

„1-3“ ფასადზე: „1-1“ ღერძის მიმდებარედ „+6.70“ ნიშნულზე სახურავის დაბალი კეხი აწეულია ზევით 0.30მ-ით, და მის ქვეშ დამატებით მოწყობილია ხის დეკორატიული ელემენტები. „2-2^{1}“ მონაკვეთში „-0.60“ ნიშნულზე გაზრდილია კიბის სიგანე 0.40მ-ით. ამავე მონაკვეთში მეორე სართულზე გაზრდილია ფანჯრის სიმაღლე. „1-3“ მონაკვეთში შემცირებულია ხის

საჩრდილობლის სიგანე. „1-1“ ღერძის გარეთ შენობის კუთხის მოპირკეთება არ ემთხვევა საპროექტოს. „2¹-3“ მონაკვეთში გაზრდილია შენობის სიმაღლე 1.00მ-ით და ნაწილ ფანჯრებს მონაცვლებული აქვს ადგილი. „3-3“ ღერძის მიმდებარედ „+2.65“ ნიშნულზე გაზრდილია ნათალი ბუნებრივი ქვით მოპირკეთების სიმაღლე. „3-6“ მონაკვეთში „+3.20“ ნიშნულზე შემცირებულია ვიტრაჟის სიმაღლე 0.50მ-ით და შეცვლილია ნახატი. ამავე მონაკვეთში „+7.75“ ნიშნულზე სახურავი აწეულია ზევით. „4-6“ მონაკვეთში „-4.00“ ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი, შემცირებულია გაბარიტებში, შეცვლილია მისი ფერი და მის მიმდებარედ ფრამუგებს მონაცვლებული აქვს ადგილი და მათ ზევით დამატებით მოწყობილია აგურის კარნიზი. „3-4“ მონაკვეთში ამავე ნიშნულზე შემცირებულია ღიობის სიმაღლე.

„ა¹-ე¹¹“ ფასადზე: „ა¹-ა¹“ ღერძის გარეთ კედელი გასქელებულია მოპირკეთების ხარჯზე, დამატებით მოწყობილია მსუბუქი გადახურვა და მის ქვევით კონდენციონერი. „ა¹-ბ¹¹“ მონაკვეთში „-4.00“ ნიშნულზე შემცირებულია ფანჯრის სიგანე 0.50მ-ით. „ა¹-ე¹¹“ მონაკვეთში კოლონებზე დამატებით მოწყობილია დეკორატიული ელემენტები და „-0.60“ ნიშნულზე ფილა გასქელებულია და მის ქვევით რიგელები არ არის მოპირკეთებული, ხოლო „ე¹¹-ე¹¹“ ღერძიდან მარჯვნივ რიგელს მონაცვლებული აქვს ადგილი ამავე ღერძისკენ. „დ¹¹-ე¹¹“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი, მასში გაზრდილია კარის სიმაღლე 0.20მ-ით და მის წინ არ არის მოწყობილი საფეხურები. „ზ-ვ¹“ მონაკვეთში პირველ სართულზე ფანჯრის ქვევით კედელი ნაცვლად აგურისა მოპირკეთებულია ნათალი ბუნებრივი ქვით. ამავე მონაკვეთში მეორე სართულზე შემცირებულია ფანჯრების სიმაღლე თითო 0.80მ-ით, ხოლო ერთ-ერთი ფანჯრის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია პლასტმასის მილი და შეფუთულია. „-4.00“ ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობები.

„დ¹¹-გ¹“ ფასადზე: ფასადის კედელი ნაცვლად აგურისა და ხით მოპირკეთებისა შელესილი და შეღებილია. რელიეფი დაწეულია ქვევით. დამატებით მოწყობილია სავენტილაციო მილები, მონოლითურ კედელში ღიობები და ლითონის მსუბუქი კონსტრუქცია რაზეც განთავსებულია ჩილერი.

„-4.00“ ნიშნულზე: „3-3“ ღერძზე კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი მარცხნივ 0.25მ-ით. „გ¹-გ¹“ ღერძის მიმდებარედ შეცვლილია მონოლითური კედლის კონფიგურაცია. „ზ-ვ¹“ მონაკვეთში შიდა კიბის პირველ მარშზე მოკლებულია საფეხური, ხოლო მეორე მარშზე შეცვლილია საფეხურის ფორმა. „4¹¹-4¹¹“ ღერძის გარეთ გაზრდილია ბეტონის იატაკის გაბარიტები.

„±0.00“ ნიშნულზე: „2-3“ მონაკვეთში „ვ¹-ვ¹“ ღერძიდან მარცხნივ შიდა კიბის საფეხურების რაოდენობა არ ემთხვევა საპროექტოს.

შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია. ტერიტორიის კეთილმოწყობა არ ემთხვევა საპროექტოს.

შენობის წინა ფასადის მხარეს ტერიტორიის მოპირკეთების და „-4.00“ ნიშნულზე უკანა ფასადის მხარეს ბეტონის იატაკის ნაწილი გაცდენილია საკადასტრო წითელ ხაზებს.

„ა-ზ“ ფასადზე: „დ-ზ“ მონაკვეთში ხის საჩრდილობლებზე მოწყობილი ლითონის სამაგრები არ ფიქსირდება ფასადის ნახაზზე, ნაჩვენებია რენდერში. „გ-დ“ მონაკვეთში მოწყობილი სარეკლამო აბრა შესრულებულია რენდერის შესაბამისად. „$ა^{1}$-$ე^{11}$“ ფასადზე: „$ე^{11}$-4“ მონაკვეთში პირველ სართულზე არ ფიქსირდება ფანჯარა, ნაჩვენებია „1-3“ ფასადზე. „-4.00“ ნიშნულზე კიბეზე დამატებულია საფეხური, შესრულებულია გეგმის ნახაზის შესაბამისად.

ლ. ჯღარკავა

თ. გოგინაშვილი